

შპს “საქაერონავიგაციის” არასახელმწიფო
საპენსიო სქემა

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული
სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება და
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შინაარსი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა.....	3
სპეციალური დანიშნულების სარგებლისთვის განკუთვნილ წმინდა აქტივებში ცვლილებების ანგარიშგება	5
სპეციალური დანიშნულების ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	6
სპეციალური დანიშნულების ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება ¹	7
ახსნა-განმარტებითი შენიშვნები	8
1. საპენსიო სქემა	8
2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვა	8
3. საპენსიო ფონდის შევსებული კაპიტალი	8
4. საპენსიო უზრუნველყოფის ვალდებულება	9
5. მოთხოვნამდე არსებული საბანკო ნაშთები	9
7. შენატანები	9
8. საპროცენტო სარგებელი.....	9
9. გაცემული საპენსიო საზღაური	10
10. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები.....	10

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს „საქაერონავიგაციის“ დამფუძნებლებსა და ხელმძღვანელებს:

დასკვნა

ჩვენ განვახორციელეთ შპს „საქაერონავიგაციის“ არასახელმწიფო საპენსიო სქემის 2023 წლის 31 დეკემბრით მომზადებული სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგებისა და მასთან დაკავშირებული ახსნა-განმარტებითი შენიშვნების (ერთობლივად, „სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება“) აუდიტი.

ჩვენი მოსაზრებით, წინამდებარე სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება ყველა არსებით ასპექტის გათვალისწინებით მომზადებულია შპს „საქაერონავიგაციის“ ახსნა-განმარტებით შენიშვნა #2-ში მოცემული სააღრიცხვო პოლიტიკის შესაბამისად.

დასკვნის საფუძველი

აუდიტი ჩავატარეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. ჩვენი პასუხისმგებლობა აღწერილია ფინანსური ანგარიშგების აუდიტისას აუდიტორის პასუხისმგებლობის თავში. ჩვენ ვართ კომპანიისა და მისი პარტნიორებისაგან დამოუკიდებელი პროფესიული ეთიკის კოდექსის (IESBA Code) მოთხოვნების შესაბამისად და ჩვენ შევასრულეთ ამ კოდექსით განსაზღვრული ყველა ეთიკური მოთხოვნა. მიგვაჩნია, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული მტკიცებულებები საკმარის და მართებულ საფუძველს წარმოადგენს აუდიტორული დასკვნის საწარმოებლად.

აღსანიშნავი გარემოება - ბუღალტრული აღრიცხვის საფუძვლები და გამოყენების შეზღუდვა

გვსურს, ყურადღება გავამახვილოთ სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებით შენიშვნა №2-ზე, სადაც აღწერილია მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვა. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის (არასახელმწიფო საპენსიო დაზღვევისა და უზრუნველყოფის შესახებ საქართველოს კანონი და სხვა) შესაბამისად კომპანიის მიერ კომპანიის სტრუქტურასა და სქემაში ნებაყოფლობით მონაწილე თანამშრომლების საპენსიო ანაზღაურების მიზნით დაფუძნებული საპენსიო სქემის ფინანსური პოზიციის, შემოსავლებისა და ხარჯების, აგრეთვე, ფულადი ნაკადების წარდგენის მიზნით. ამგვარად, სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების გამოყენება, შესაბამისი კანონმდებლობისა და შპს „საქაერონავიგაციის“ არასახელმწიფო საპენსიო სქემის წესში გაუთვითცნობიერებელი პირებისათვის შესაძლოა, გამოუსადეგარი იყოს. ამ გარემოების გამო ჩვენი დასკვნა არ არის მოდიფიცირებული.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებასთან მიმართებით

შპს „საქაერონავიგაციის“ ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების მომზადებას და წარდგენაზე ახსნა-განმარტებით შენიშვნა №2-ში მოცემული სააღრიცხვო პოლიტიკის შესაბამისად, ასევე, ისეთი შიდა კონტროლის განხორციელებაზე, რომელსაც ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ აუცილებელია იმგვარი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით განპირობებულ არსებით უზუსტობას.

აუდიტორის პასუხისმგებლობა

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები, შეიძლება, გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომებით გამოწვეულ ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა, შეიძლება, გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის უგულებელყოფას.
- ჩვენ შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებულ საადრიცხო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული საადრიცხო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, ახსნა-განმარტებებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვასთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე, აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

ბესიკ ბისეიშვილი წარმოადგენს პარტნიორს იმ აუდიტის გარიგებაზე, რომელზედაც გაიცა წინამდებარე აუდიტის დასკვნა.



ბესიკ ბისეიშვილი (აუდიტორის სარეგისტრაციო ნომერი SARAS-A-988241)

გარიგების პარტნიორი

შპს ბეიკერ ტილი ჯორჯია

2024 წლის 22 მაისი

თბილისი, საქართველო

შპს "საქაერონავიგაციის" არასახელმწიფო საპენსიო სქემა
 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული წლისთვის
 (თანხები მოცემულია ლარში)


სპეციალური დანიშნულების სარგებლისთვის განკუთვნილ წმინდა აქტივებში ცვლილებების ანგარიშგება

	ა/გ შენიშვნა	2023	2022
წმინდა აქტივები 1 იანვარს		27,329,445	20,435,138
შენატანები			
დამქირავებლისგან მიღებული შენატანები	7	3,765,661	3,327,772
დასაქმებულთაგან მიღებული შენატანები	7	1,464,424	1,294,134
სულ მიღებული შენატანები		5,230,085	4,621,906
დამქირავებლისგან მისაღები შენატანები	7	349,994	304,000
დასაქმებულთაგან მისაღები შენატანები		136,109	118,221
სულ მისაღები შენატანები		486,103	422,221
სულ შენატანები		5,716,188	5,044,127
საპროცენტო სარგებელი	8	3,304,124	2,330,394
ჯამური ზრდა		9,020,312	7,374,521
ადმინისტრაციული ხარჯები		(196,215)	(113,381)
გაცემული საპენსიო საზღაური	9	(914,897)	(366,833)
ჯამური შემცირება		(1,111,112)	(480,214)
წმინდა აქტივები 31 დეკემბერს		35,238,645	27,329,445

წინამდებარე ანგარიშგება წარსადგენად დამტკიცებულია და ხელმოწერილ იქნა 2024 წლის 22 მაისს.



გოჩა მეზერიშვილი,
 შპს "საქაერონავიგაციის"
 გენერალური დირექტორი



ირაკლი ზაქარეიშვილი,
 შპს "საქაერონავიგაციის"
 ფინანსური მენეჯერი




თამარ ოდიაშვილი
 შპს "საქაერონავიგაციის"
 არასახელმწიფო საპენსიო დაზღვევისა და
 უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი

შპს "საქაერონავიგაციის" არასახელმწიფო საპენსიო სქემა
 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული წლისთვის
 (თანხები მოცემულია ლარში)


სპეციალური დანიშნულების ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

	შენიშვნა	31.12.2023	31.12.2022
კაპიტალი			
საპენსიო ფონდის შევსებული კაპიტალი	3	2,000,000	2,000,000
სულ კაპიტალი		2,000,000	2,000,000
ვალდებულებები			
საპენსიო უზრუნველყოფის ვალდებულება	4	35,238,646	27,329,445
კრედიტორული დავალიანება		427,085	122,083
სულ ვალდებულებები		35,665,731	27,451,528
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		37,665,731	29,451,528
აქტივები			
საბანკო ნაშთები მოთხოვნამდე	5	2,025,167	2,019,343
დებიტორული დავალიანება		401,918	102,740
საპენსიო ფონდის საინვესტიციო აქტივები	6	35,238,646	27,329,445
სულ აქტივები		37,665,731	29,451,528

წინამდებარე ანგარიშგება წარსადგენად დამტკიცებულია და ხელმოწერილ იქნა 2024 წლის 22 მაისს.



გიორგი მეზურიშვილი,
 შპს "საქაერონავიგაციის"
 გენერალური დირექტორი



ირაკლი ზაქარეიშვილი,
 შპს "საქაერონავიგაციის"
 ფინანსური მენეჯერი



თამარ ოდიშვილი
 შპს "საქაერონავიგაციის"
 არასახელმწიფო საპენსიო დაზღვევისა და
 უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი

შპს "საქაერონავიგაციის" არასახელმწიფო საპენსიო სქემა
 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული წლისთვის
 (თანხები მოცემულია ლარში)

სპეციალური დანიშნულების ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება ¹


	31.12.2023 დასრულებული წლისათვის	31.12.2022 დასრულებული წლისათვის
მიღებული ფული		
საპენსიო შენატანები	5,652,511	4,990,099
საპროცენტო სარგებელი	50,252	624,482
აქტივების მართვის კომპანიიდან თანხის გადმოტანა საპენსიო უზრუნველყოფის გასაცემად	1,167,932	572,570
სულ მიღებული ფული	6,870,695	6,187,151
გაცემული ფული		
აქტივების მართვის კომპანიაზე გადაცემა განსათვასებლად	(5,642,794)	(4,986,056)
გაცემული საპენსიო უზრუნველყოფა	(914,898)	(366,832)
ფონდის დამფუძნებელზე გადარიცხვა	(204)	(602,363)
სულ გაცემული ფული	(6,557,896)	(5,955,251)
ფულადი სახსრების და მათი ექვივალენტების ნეტო ზრდა (შემცირება)	312,799	231,900
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები წლის დასაწყისში	2,333,748	2,101,848
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები წლის ბოლოს	2,646,547	2,333,748

¹ სპეციალური დანიშნულების ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგებაში არ არის ასახული აქტივების მმართველ კომპანიაზე ინვესტირებისათვის გადაცემული ფულის ამსახველი მიმდინარე საბანკო ანგარიშები, საპენსიო ფონდის საინვესტიციო აქტივებში გაერთიანებული სადეპოზიტო ანგარიშები და მათი მოძრაობა, თუმცა, ასახულია საპენსიო ანარიცხების გაცემისათვის გამოყენებული ანგარიში, რომელიც გაერთიანებული საინვესტიციო აქტივებში.


წინამდებარე ანგარიშგება წარსადგენად დამტკიცებულია და ხელმოწერილ იქნა 2024 წლის 22 მაისს.



გოჩა მეზვრიშვილი,
 შპს "საქაერონავიგაციის"
 გენერალური დირექტორი



ირაკლი ჯაქარეიშვილი,
 შპს "საქაერონავიგაციის"
 ფინანსური მენეჯერი



თამარ ოდიაშვილი
 შპს "საქაერონავიგაციის"
 არასახელმწიფო საპენსიო დაზღვევისა და
 უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი

ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

1. საპენსიო სქემა

შპს „საქაერონავიგაციის“ საპენსიო სქემა დაარსდა 2015 წლის 30 დეკემბერს შპს „საქაერონავიგაციის“ თანამშრომლების არასახელმწიფო პენსიით უზრუნველყოფის მიზნით. სქემა არის დადგენილშენატანიანი.

შპს „საქაერონავიგაციის“, როგორც არასახელმწიფო საპენსიო სქემის დამფუძნებლისა და „შპს „საქაერონავიგაციის“ არასახელმწიფო საპენსიო სქემის“ რეგისტრაცია განხორციელდა სსიპ „საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის“ უფროსის 2015 წლის 30 დეკემბრის №07/1-ს ბრძანების საფუძველზე. საპენსიო სქემა იმართება შპს „საქაერონავიგაციის“ არასახელმწიფო საპენსიო სქემის წესის შესაბამისად. საპენსიო სქემა არ წარმოადგენს დამოუკიდებელ იურიდიულ პირს, საკანონმდებლო და საგადასახადო მიზნებიდან გამომდინარე. საპენსიო სქემის აქტივები გამოიყენება ექსკლუზიურად მხოლოდ თანამშრომლების საპენსიო უზრუნველყოფის მიზნით. შპს „საქაერონავიგაციის“ სხვა ნებისმიერი ვალდებულების დაფარვის მიზნით საპენსიო აქტივების გამოყენება აკრძალულია.

შპს „საქაერონავიგაციის“ არასახელმწიფო საპენსიო სქემა წარმოადგენს დამსაქმებლის პროფესიულ სქემას, სადაც განსაზღვრულია შენატანების ოდენობა და დამფუძნებლის ვალდებულება, შექმნას მონაწილეთა სახელობითი საპენსიო დანაგროვი და მის ხარჯზე რეგულარულად გასცეს პენსიები სქემის წესისა და მონაწილესთან გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე. საპენსიო სქემის მონაწილეების სოციალური შენატანები, შეიძლება, დაეყოთ დამსაქმებლის მხრიდან და დასაქმებულის მხრიდან განხორციელებულ სოციალურ შენატანებად. შენატანების განაკვეთი დამსაქმებლისთვის შეადგენს დასაქმებულის ძირითადი ხელფასის 18%-ს, ხოლო დასაქმებულის მხრიდან - 7%-ს.

2023 წლის 31 დეკემბრისთვის საპენსიო სქემაში მონაწილეობს შპს „საქაერონავიგაციის“ 593 თანამშრომელი (2022: 585). საპენსიო სქემის ფულადი აქტივები მოიცავს ფასიან ქალაქებს და მოთხოვნამდე ანაბარზე არსებულ აქტივებს.

2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვა

მომზადების საფუძველი. სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულებისა და დარიცხვის მეთოდით, საერთაშორისო ბუღალტრული სტანდარტების საბჭოს (IASB) მიერ გამოშვებული ბუღალტრული აღრიცხვის 26-ე სტანდარტის - „საპენსიო უზრუნველყოფის პროგრამების ბუღალტრული აღრიცხვა და ანგარიშგების“ ცალკეული დებულებების გამოყენებით.

ის ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა, რომელიც გამოყენებულ იქნა წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, ქვემოთ არის წარმოდგენილი. სააღრიცხვო პოლიტიკა თანმიმდევრულად არის გამოყენებული ყველა წარდგენილი საანგარიშგებო პერიოდისათვის.

წარსადგენი ვალუტა. ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული თანხები წარმოდგენილია ქართულ ლარში, თუ სხვა რამ არ იქნება მითითებული.

აქტივები და ვალდებულებები. წარდგენილი აქტივები და ვალდებულებები აღრიცხულია ისტორიული ღირებულებით.

დაფინანსება. სქემის დაფინანსება ხორციელდება დამკირავებლისა და მონაწილეების დადგენილი პერიოდული შენატანების გადაცემით საპენსიო სქემის მმართველისთვის მათ ფასიან ქალაქებში, წილობრივ ინსტრუმენტებში ან/და სხვა ფინანსურ ინსტრუმენტებში დაბანდებისა და სარგებლის გამომუშავებისთვის.

3. საპენსიო ფონდის შევსებული კაპიტალი

მოქმედი კანონმდებლობით, არასახელმწიფო საპენსიო სქემის დამფუძნებელს მოეთხოვება საპენსიო ფონდის შევსებული კაპიტალის შექმნა და შენახვა (სქემის არსებობის განმავლობაში) სულ მცირე, 2,000,000 ლარის ოდენობით.

შპს "საქაერონავიგაციის" არასახელმწიფო საპენსიო სქემა
2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული წლისთვის
(თანხები მოცემულია ლარში)

4. საპენსიო უზრუნველყოფის ვალდებულება

	31.12.2023	31.12.2022
საპენსიო უზრუნველყოფის ვალდებულება 1 იანვრისთვის	27,329,445	20,435,138
სოციალური შენატანები	5,716,188	5,044,127
საპროცენტო სარგებელი	3,304,124	2,330,394
გაცემული საპენსიო საზღაური	(914,897)	(366,832)
ადმინისტრაციული ხარჯები	(196,215)	(113,382)
საპენსიო უზრუნველყოფის ვალდებულება 31 დეკემბრისთვის	35,238,645	27,329,445

5. მოთხოვნამდე არსებული საბანკო ნაშთები

	31.12.2023	31.12.2022
საბანკო ნაშთები მოთხოვნამდე	2,025,167	2,019,343
სულ მოთხოვნამდე არსებული საბანკო დეპოზიტები	2,025,167	2,019,343

ამ ახსნა განმარტებით შენიშვნაში არ არის ასახული საპენსიო ფონდის საინვესტიციო აქტივებში გაერთიანებული მიმდინარე საბანკო და სადეპოზიტო ანგარიშები.

6. საპენსიო ფონდის საინვესტიციო აქტივები

	31.12.2023	31.12.2022
ფასიანი ქაღალდები	1,578,758	1,586,130
საქართველოს მთავრობის ობლიგაციები (9.375%_18.01.2028)	395,244	395,244
სს ევექსის ჰოსპიტლების ობლიგაციები (RR+3.1%_06.11.2024)	204,023	211,357
საქართველოს მთავრობის ობლიგაციები (9.375%_16.08.2027)	979,491	979,529
მოკლევადიანი დეპოზიტები	11,495,079	9,606,799
საპენსიო უზრუნველყოფის გაცემისთვის საბანკო ანგარიშზე არსებული თანხა	621,380	314,405
ფული მიმდინარე ანგარიშზე (აქტივების მმართველ კომპანიაზე გადაცემული ფული)	3,609,532	2,736,107
დეპოზიტები, რომელთა ვადა იწურება ბალანსის თარიღიდან 12 თვის განმავლობაში	7,264,167	6,556,287
გრძელვადიანი დეპოზიტები	21,865,802	15,820,117
დეპოზიტები, რომელთა ვადა იწურება ბალანსის თარიღიდან 12 თვის შემდეგ	21,865,802	15,820,117
მისაღები თანხები	486,103	422,221
დამსაქმებლის შენატანები	349,994	303,999
მონაწილეთა შენატანები	136,109	118,222
ვალდებულება	(187,096)	(105,822)
წმინდა საინვესტიციო აქტივები	35,238,646	27,329,445

7. შენატანები

შპს "საქაერონავიგაციის" საპენსიო სქემა არის დადგენილშენატანი და განსაზღვრულია საბაზისო შრომის ანაზღაურების 18 და 7 პროცენტით შპს „საქაერონავიგაციისა“ და მისი თანამშრომლებისთვის, შესაბამისად.

8. საპროცენტო სარგებელი

საპროცენტო სარგებელი გულისხმობს ფონდის საინვესტიციო აქტივებზე დარიცხულ სარგებელს.

9. გაცემული საპენსიო საზღაური

საპენსიო დანაგროვის გაცემა სქემაში ჩართულ თანამშრომლებზე ხდება შემდეგ შემთხვევებში: (1) თანამშრომელმა მიაღწია საპენსიო ასაკს და მისი მოთხოვნის საფუძველზე გაცემა პენსია; (2) მონაწილე დატოვებს შპს „საქაერონავიგაციას“ საპენსიო ასაკის მიღწევამდე და მის სახელობით საპენსიო ანგარიშზე დაგროვილ საპენსიო დანაზოგს მიიღებს შეუმცირებლად; (3) მონაწილის გარდაცვალების შემთხვევაში დანაგროვი პენსია ეძლევა მის მემკვიდრეებს იმავე პირობებით, რა პირობებითაც მიიღებდა მონაწილე. 2023 წლის განმავლობაში მონაწილეებზე გაცემულია 914,898 ლარის ოდენობით საპენსიო დანაგროვი (2022 წელს: 366,832 ლარი).

10. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

ბალანსის თარიღის შემდგომ ადგილი არ ჰქონია სხვა ისეთ მოვლენას, რომელიც გამოიწვევდა დამატებით შესწორებებსა და ცვლილებებს მოცემულ სპეციალური დანიშნულების ფინანსურ ანგარიშგებაში.

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია შპს „საქაერონავიგაციის“ ხელმძღვანელობის მიერ 2024 წლის 22 მაისს. კომპანიის ხელმძღვანელობას უფლება აქვს, შეცვალოს ფინანსური ანგარიშგება გამოშვების შემდეგ.

About Baker Tilly

Baker Tilly is a full-service accounting and advisory firm that offers industry specialised services in assurance, tax and advisory.

Baker Tilly Georgia LLC trading as Baker Tilly is a member of the global network of Baker Tilly International Ltd., the members of which are separate and in dependent legal entities.



Contact us

Baker Tilly
BC Mantashev Rows
7 Bambis Rigi
Tbilisi 0105, Georgia
office@bakertilly.ge
T: +995 032 2 438 999
www.bakertilly.ge